

### იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

#### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

#### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ

გამოცემას აშუადებს

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

#8 (29), სექტემბერი-ოქტომბერი, 2009

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშავებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



## ხელნაკეთი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა

თბილისობის დღესასწაულისთვის უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი მუშათაიდის ბაღში. მრავალფეროვან ღონისძიებებთან ერთად, ბაღის ერთ კუთხეში უამრავ ლამაზ ხელნაკეთ ნივთსა და ნახატს ნახავდით... ისინი სოციალური ორგანიზაციების ბენეფიციარებმა შექმნას.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

## ხელნაკეთი პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა

(გაგრძელება)



მათ ვინც ვერ მოახერხა სოციალური ორგანიზაციების ბენეფიციარების ნამუშევრების დათვალიერება-შეძენა, შეუძლიათ დაუკავშირდნენ ამ ორგანიზაციებს, ან მათ მიერ გამართულ ღონისძიებებს დაესწრონ. თქვენს მიერ შეძენილი ნივთები ხელს შეუწყობს თითოეული მათი ბენეფიციარის კეთილდღეობას და მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ასოციაცია „ანიკასა“ და გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციის ბენეფიციარებმა წარმოადგინეს ხელნაკეთი აქსესუარები, აქსესუარები ფიგურირებდა სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების, ასევე ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების მიერ წარმოდგენილ ნივთებში, მათ ასევე გამოფინეს ხელნაკეთი თოჯინები, თექისგან დამზადებული ნივთები. თექის ნივთები ფიგურირებდა საზოგადოება „ბილიკისა“. კოლხა 2009-ს, თემი „ქედლის“ ბენეფიციართა ნამუშევრებში, კავშირის „ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ ბენეფიციარების მიერ დამზადებული ხის ნივთები, ლამაზი, სხვადასხვა ფორმის სანთლები, ბედიანის ბავშვთა ცენტრმა ნაქარგი აქსესუარები, ხოლო ფონდ „პირველი ნაბიჯის“ ბენეფიციარებმა აკვარელით შესრულებული ნახატები. გამოფენა მოეწყო თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში, რომლის ორგანიზატორიც იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. ინსტიტუტი უკვე მესამე წელია გერმანული ფონდის EED-ის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაციების საარსებო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა.

თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: [welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)


ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გაგრძელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>  
 მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:  
<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ



„მივილოთ განსხვავებული“



2009 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გაიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მომხმარებელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. რომელიც მიეძღვნა ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს, იგი ყოველ 10 ოქტომბერს აღინიშნება. ლონისძიების ორგანიზატორი იყო ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“. იგი მოეწყო პროექტის „ფსიქიკური პრობლემებთან დაკავშირებული სტიგმისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის“ პროექტის ფარგლებში. ისევე როგორც პროექტის, აქციის მიზანია განსხვავებული ადამიანების მიმართ დამოკიდებულებების შეცვლა. აქციაზე წარმოდგენილ იყო ასევე პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნი „ მივილოთ განსხვავებული“.

გამოცემა



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, გამოსცა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შიდა რეგულაციების ნიმუშების კრებული. პრაქტიკული ხასიათის კრებულში თავმოყრილია შიდა რეგულაციების დოკუმენტებისა და ხელშეკრულებების ის ნიმუშები,

რომელთა გამოყენებაც ხშირად უწევთ არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციებს. რაც დაეხმარება მათ თავიანთი საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფაში.

ტრენინგი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, გურიის რეგიონში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის 15 სექტემბერს, ხოლო სამეგრელოს რეგიონში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის 16 სექტემბერს ჩატარა ტრენინგების ციკლი არასამეწარმეო იურიდიული პირების შიდა რეგულაციებისა და სანიმუშო დოკუმენტების საკითხებზე.

საკონკურსო განაცხადი

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი აცხადებს ტენდერს ვეროკავშირის გრანტით დაფინანსებულ პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში მომსახურების შესყიდვის მიზნით სოფლის ექიმებისათვის მენეჯმენტის სასწავლო კურსის ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 23 ოქტომბერი, 2009 წელი <http://www.24saati.ge> <http://www.civilin.org/welfare>

## სოციალური და ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობისათვის



2009 წლის 23 სექტემბერს, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში გაიმართა ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - დეას მიერ ორგანიზებული საინფორმაციო-სადისკუსიო შეხვედრა პროექტის „ჩვენ დავიბადეთ თანასწორნი და განსხვავებულნი“ ფარგლებში (დონორები - ევროკავშირი და გაეროს ბავშვთა ფონდი, პარტნიორები - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,

საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია, ასოცირებული წევრები - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.). შეხვედრას ესწრებოდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული თემის წარმომადგენლები. შეხვედრა მიზნად ისახავდა პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების, მათ შორის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით თბილისსა და ზუგდიდში ჩატარებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მონიტორინგის პირველადი შედეგების პრეზენტაციას, აზრთა გაზიარებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდის გზებისა და ფორმების შესახებ და ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის შემცირებისა და პრევენციის პროცესის მხარდამჭერ პირთა ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმის პროექტის განხილვას. ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - დეას აღმასრულებელმა დირექტორმა, პროექტის დირექტორმა მადონა ხარებავამ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა შშმ პირთა მიმართ მწყობრი და ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და ეროვნული კანონმდებლობის გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციასთან ჰარმონიზაციის აუცილებლობაზე, სამოქალაქო მონიტორინგის მნიშვნელობაზე, ინკლუზიური

განათლების დანერგვის პროცესის ხელშეწყობა და შემაფერხებელ გარემოებებზე. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ორგანიზაციის მიერ თბილისსა და ზუგდიდში ჩატარებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის მიზანი იყო შენობაში შეღწევადობის ფიზიკური გარემოს შესწავლა. შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია შშმ პირთა უფლებრივ და რეალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, პროექტის გუნდის მიერ განსახილველად შეთავაზებულ კონკრეტულ ფაქტებზე, ინვალიდობის ნიშნით დისკრიმინაციის შემცირებისა და პრევენციის საკითხებზე.

ასოციაცია „ჯანმრთელი ბავშვები“, FRIEDENSDORF INTERNATIONAL გერმანიაში უფასოდ სამკურნალოდ იწვევენ 12 წლამდე შემდეგი დაავადებების მქონე მოზარდებს: მწვავე ოსტეომიელიტი, ძვლის კისტა, ძვლის კეთილთვისებიანი სიმსივნეები, თავის ტვინის კისტა (სალი გონეზით), კიბურების ანომალია, ამპუტაცია, დეფორმაციები, ჰემანგიომა, ჰირსპრუნგის დაავადება, ორგანოების არტერიზიები, ოპერაციული ჩარევის შემდგომი გართულებები (სტომეხი), ჰიპოსპადია, ეპისპადია, დამწვრობები და მასთან დაკავშირებული გართულებები, სახის ღია ნაპრალი

**ინფორმაცია იხილეთ**  
ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენი, 2009  
[www.hespa.ge](http://www.hespa.ge)  
<http://www.civilin.org/welfare>

# კონკურსი სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2009

## ვორჟშოფი ჟურნალისტებისათვის

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს სოციალურ სფეროზე და ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნაზე. პროექტის ფარგლებში უკვე მესამედ ტარდება კონკურსი სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის – „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“.

### კონკურსის მიზანი:

ხელი შეუწყოს სოციალურ საკითხების უფრო ფართოდ და ღრმად გაშუქებას.

### კონკურსის ნომინაციები:

კონკურსი ტარდება 4 ნომინაციაში

1. საუკეთესო საგაზეთო სტატია;
2. საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი;
3. საუკეთესო ფოტო ნამუშევარი;
4. საუკეთესო რადიო სიუჟეტი.

თითოეულ ნომინაციაში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. გადაეცემა გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო – 1000 ლარის ოდენობით. ჟიურის გადაწყვეტილებით გაიცემა მეორე და წამახალისებელი პრემიები.

გამარჯვებულებს გამოავლენს კომპოტენტური ჟიური. კონკურსის შედეგები გამოცხადდება დაჯილდოების ცერემონიაზე 2009 წლის დეკემბრის ბოლოს.

### კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს. საკონკურსო ნამუშევრების მიღება დაიწყება 1 ნოემბრიდან და გაგრძელდება 30 ნოემბრამდე.

### მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

სატელევიზიო სიუჟეტი - CD-ზე ან DVD-ზე;

რადიო სიუჟეტი - CD-ზე ან DVD-ზე;

სტატია – გაზეთი ან ჟურნალი, რომელშიც დაიბეჭდა სტატია (არაუმეტეს 3 სტატიისა) ან ნაბეჭდი ტექსტი გამოცემის და თარიღის ზუსტი მითითებით;

ფოტო - CD-ზე (jpg ფორმატში) ან დაბეჭდილი A 4 ფორმატით;

მასალის ჩაბარებისას მონაწილემ უნდა შეავსოს სპეციალური ანკეტა.

### საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა გამოქვეყნებული ან ეთერში გასული უნდა იყოს 2009 წლის განმავლობაში.

კონკურსის მონაწილეებმა საკონკურსო მასალა უნდა წარმოადგინონ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი 2, V სართული, ტელ. 941 605, 330 417, mail: temuri@civilin.org ვებ-გვერდი www.civilin.org/welfare



სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა 19 სექტემბერს ოზურგეთში და 20 სექტემბერს ბათუმში ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის ვორჟშოფები გამართა. ვორჟშოფების თემა იყო „სოციალური საკითხების გაშუქების ეთიკა“. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ცნობილი ჟურნალისტები ზვიად ქორიძე და დაივთ პაიჭაძე. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სხვა რეგიონებშიც გეგმავს მსგავსი გასვლითი ვორჟშოფებისა და სემინარების ჩატარებას.